



[← უკან](#)

[«წინა შემდეგი»](#)

საკასაციო საჩივარი			
საქმის ნომერი	ას-1080-2018	კატეგორია	სანივთო სამართლებრივი დავა
თარიღი	08/06/2021	სახეობა	დაკავშირებული უძრავ ქონებაზე საკუთრებასთან
შედეგი	დატოვებულია უცვლელად	დავის საგანი	უძრავ ქონებაზე მესაკუთრედ ცნობა

გადაწყვეტილება/განჩინება

საქმე №ას-1080-2018

8 ივნისი, 2021 წელი,
თბილისი

სამოქალაქო საქმეთა პალატა
მოსამართლეები: თამარ ზამზახიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზურაბ ძლიერიშვილი,
მირანდა ერემაძე

საქმის განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენის გარეშე

საკასაციო საჩივრის ავტორი - გ.შ-ი (მოსარჩელე)

მოწინააღმდეგე მხარე - ზ.ფ-ძე, ი.ე-ა (მოპასუხე)

გასაჩივრებული განჩინება – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 11.01.2018წ. განჩინება

საკასაციო საჩივრის ავტორის მოთხოვნა - გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება

დავის საგანი - ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ანდერძისმიერი მემკვიდრეობის საფუძველზე უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობა

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

1. სასარჩელო მოთხოვნა:

გ.შ-მა (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოსარჩელე“) სარჩელი აღძრა სასამართლოში ზ.ფ-ძისა (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „პირველი მოპასუხე“) და ი.ე-ას (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მეორე მოპასუხე“, პირველ მოპასუხესთან ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „მოპასუხეები“) მიმართ, მოითხოვა მოპასუხეებს შორის 27.06.2014 წელს დადებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა და ქ. თბილისში, მდებარე №54 ბინის (ს/კ:) (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „სადავო უძრავი ქონება“ ან „სადავო უძრავი ნივთი“) მესაკუთრედ ცნობა.

2. სარჩელის საფუძვლები:

2.1. 09.06.1995 წელს ნ.ე-ამ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მამკვიდრებელი“) სს „ბ.კ-დან“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „ბ-ი“) აღებული სარგებლიანი სესხის საგარანტიო უზრუნველყოფის მიზნით, ბ-ის თანამშრომელთან, პირველ მოპასუხესთან, სადავო უძრავ ქონებაზე გააფორმა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც, როგორც თვალთმაქცურად დადებული გარიგება, ბათილად იქნა ცნობილი თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს

04.12.1996 წლის კახიხიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით.

2.2. 31.07.1998 წლის სანოტარო წესით შედგენილი ანდერძით მოსარჩელე გახდა მამკვიდრებლის უძრავი ნივთების - ქ. მცხეთაში, მდებარე აგარაკისა (*შემდგომში „აგარაკი“*) და სადავო უძრავი ქონების ერთადერთი ანდერძისმცემი მემკვიდრე.

2.3. მამკვიდრებელი გარდაიცვალა 06.10.1999 წელს. მოსარჩელემ სამკვიდრო მიიღო.

2.4. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 28.06.2001 წლის გადაწყვეტილებით მეორე მოპასუხე ცნობილ იქნა სადავო უძრავი ქონების 1/4 სავალდებულო წილის მემკვიდრედ. მოსარჩელემ მეორე მოპასუხეს აუნაზღაურა სავალდებულო წილის ღირებულება.

2.5. 27.06.2014 წელს პირველმა მოპასუხემ სადავო უძრავი ქონება ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე გადასცა მეორე მოპასუხეს, რომლისთვისაც ცნობილი იყო, რომ ქონება მჩუქებელს არ ეკუთვნოდა. სადავო უძრავი ქონება წარმოადგენს მამკვიდრებლის სამკვიდრო მასას.

3. მოპასუხეთა პოზიცია:

3.1. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მიუთითეს (იხ. შესაგებელი, ტ.1, ს.გ. 68-80; მოსამზადებელ ეტაპზე წარდგენილი შუამდგომლობა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, ტ.1, 169-172), რომ მოსარჩელე ფლობდა თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს 04.12.1996 წლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ხარვეზისა და მისი აღსრულების შეუძლებლობის შესახებ ინფორმაციას, თუმცა ხარვეზის აღმოსაფხვრელად სათანადოდ არ უმოქმედია. მითითებული გადაწყვეტილება (რომლითაც მოსარჩელე ადასტურებს, რომ პირველ მოპასუხესა და მამკვიდრებელს შორის 09.06.1995 წელს დადებული ხელშეკრულება იყო თვალთმაქცური) არ აღსრულებულა და არც არსებობს მისი აღსრულების შესაძლებლობა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, კერძოდ, ამ გადაწყვეტილების მიღებიდან გასულია 18 წელი.

3.2. მოსარჩელის სასარგებლოდ შედგენილი ანდერძის ნამდვილობის მიმართ არსებობს ეჭვი. საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ცნობით დასტურდება, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ანდერძი არ იძებნება ნოტარიუსის სანოტარო არქივში.

3.3. სადავო უძრავი ქონება სამკვიდროს გახსნისას არ წარმოადგენდა მამკვიდრებლის საკუთრებას, ტექნიურის მონაცემებით პირველი მოპასუხის საკუთრებად ირიცხებოდა, შესაბამისად, 31.07.1998 წელს შედგენილი ანდერძის თანახმად, სამკვიდრო მასაში ვერ შევიდოდა ქონება, რომელიც გარდაცვალების მომენტისათვის მამკვიდრებლის საკუთრებას არ წარმოადგენდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 07.03.2016 წლის გადაწყვეტილებით - სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

4.1. თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს 04.12.1996 წლის გადაწყვეტილებით - ბათილად იქნა ცნობილი მამკვიდრებელსა და პირველ მოპასუხეს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება თბილისის ტექნიურში სათანადო ცვლილებების შეტანით. სასამართლო გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 24.01.1997 წლის განჩინებით. 04.12.1996 წლის გადაწყვეტილება ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: პირველი მოპასუხე იყო ბ-ის თანამშრომელი, ხოლო მამკვიდრებელს ბ-თან გაფორმებული ჰქონდა სესხის ხელშეკრულება და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად მხარეთა შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება. სასამართლომ ნასყიდობის ხელშეკრულება თვალთმაქცურ გარიგებად მიიჩნია.

4.2. 31.07.1998 წლის სანოტარო წესის დაცვით დადებული ანდერძით მამკვიდრებელმა მთელი თავისი ქონება უანდერძა მოსარჩელეს.

4.3. მამკვიდრებელი გარდაიცვალა 02.10.1999 წელს, ხოლო მისი მეუღლე ე.შ-ი (*შემდგომში „მამკვიდრებლის მეუღლე“*) - 08.02.2002 წელს. მოსარჩელე არის მამკვიდრებლის გერი, ხოლო მეორე მოპასუხე არის მამკვიდრებლის შვილი.

4.4. თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს 04.12.1996 წლის გადაწყვეტილება არ

აღსრულებულა არც მამკვიდრებლის სიცოცხლეში, არც მისი გარდაცვალების შემდეგ, კერძოდ, თბილისის ტექნიურის 28.03.1997 წლის წერილით მამკვიდრებელს უარი ეთქვა თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს 04.12.1996 წლის გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანაზე.

4.5. არც თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 28.06.2001 წლის გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი შედეგი განხორციელებულა, რომლითაც მეორე მოპასუხის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და იგი ცნობილ იქნა სადავო უძრავი ქონებისა და აგარაკის $\frac{1}{4}$ სავალდებულო წილის მემკვიდრედ. აგარაკი მთლიანად დაირეგისტრირა მოსარჩელემ სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე და 30.09.2005 წელს გაასხვისა გ.-ს-ზე. მეორე მოპასუხის 06.10.2005 წლის თანხმობა იმის შესახებ, რომ მან აგარაკზე მიიღო კომპენსაცია, 28.06.2001 წლის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას არ ადასტურებს.

4.6. სადავო უძრავი ქონება 30.06.2014 წლამდე საკუთრების უფლებით საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იყო პირველი მოპასუხის სახელზე. უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებული იყო 09.06.1995 წლის ნასყიდობის ხელშეკრულება.

4.7. 27.06.2014 წელს დაიდო უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულება, რომლის თანახმად, პირველმა მოპასუხემ სადავო უძრავი ქონება საკუთრებაში გადასცა მეორე მოპასუხეს. მეორე მოპასუხის სახელზე უძრავი ქონება დარეგისტრირდა 27.06.2014 წელს და დღემდე რეგისტრირებულია მის სახელზე.

4.8. საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ ჩუქების ხელშეკრულების დადებისას სადავო უძრავი ქონებაზე საჯარო რეესტრში სასამართლოს განჩინების საფუძველზე რეგისტრირებული იყო ყადაღა. აღნიშნულის დასადასტურებლად საკმარის მტკიცებულებად ვერ ჩაითვლება საქმეში წარმოდგენილი წერილობითი მასალები.

4.9. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე ვერ იქნება სამართლებრივად დაინტერესებული, მოითხოვოს 27.06.2014 წლის ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა, რადგან ამ შემთხვევაშიც, ანდერძის საფუძველზე, სადავო უძრავი ქონება მოსარჩელეს ვერ გადაეცემა და ისევ პირველ მოპასუხეს დაუბრუნდება. სასამართლოს მითითებით, მართალია, 04.12.1996 წლის სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე ბათილად იქნა ცნობილი 09.06.1995 წლის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, მაგრამ ნივთს მამკვიდრებლის უფლებამონაცვლის სასარგებლოდ ვერ გამოითხოვენ, რადგან გასულია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ათწლიანი ვადა და პირველი მოპასუხე შესაგებელს სწორედ მოთხოვნის ხანდაზმულობაზე ამყარებს. სასამართლოს განსჯით, რადგან პირველ მოპასუხეს ხანდაზმულობის ათწლიანი ვადის გასვლის გამო უფლება აქვს, უარი თქვას ნივთის კრედიტორის უფლებამონაცვლის საკუთრებაში დაბრუნებაზე, პირველი მოპასუხის მიერ 27.06.2014 წელს დადებული ჩუქების ხელშეკრულება კანონსაწინააღმდეგოდ და ბათილად ვერ მიიჩნევა.

4.10. სასამართლოს მითითებით, მამკვიდრებლის სამკვიდრო მასაში მისი გარდაცვალების დროისთვის შედიოდა უფლება, პირველი მოპასუხისთვის მოეთხოვა უძრავი ქონების საკუთრებაში დაბრუნება. ეს უფლება არ განხორციელებულა.

5. მოსარჩელემ გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო საჩივრით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და საფუძველი:

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 11.01.2018 წლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, სამართლებრივ შეფასებებს და დამატებით განმარტა შემდეგი:

6.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ) 142-ე მუხლის პირველი ნაწილით, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა ათი წელია მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება. გადაწყვეტილების იძულებით აღსასრულებლად წარდგენის ხანდაზმულობის ვადაზე ვრცელდება ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებისა და შეწყვეტის საერთო საფუძვლები. სასამართლოს 04.12.1996 წლის გადაწყვეტილების (ძალაშია 24.01.1997 წლიდან)

ხანდაზმულობის ვადის დენა ტექნიუროსთვის მიმართვით 28.02.1997 წელს შეწყდა, იგი თავიდან აითვლება და ამოიწურა 28.02.2007 წელს. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ამ ვადაში სასამართლოს გადაწყვეტილება არ აღსრულებულა და სადავო უძრავ ნივთზე სარჩელით სადავო ჩუქების ხელშეკრულების დადების მომენტისათვის კვლავ რეგისტრირებული იყო პირველი მოპასუხის საკუთრების უფლება.

6.2. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სასამართლოს 2001 წლის გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილია მეორე მოპასუხესა და მამკვიდრებლის მეუღლეს შორის დავაზე და რომლითაც მეორე მოპასუხე ცნობილია სადავო უძრავი ქონებისა და აგარაკის 1/4-ის მესაკუთრედ, არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს 04.12.1996 წლის გადაწყვეტილების აღსრულება. სადავო უძრავი ქონება ხსენებული გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის ისევ პირველი მოპასუხის სახელზე იყო რეგისტრირებული. უდავოა, რომ სასამართლოს 2001 წლის გადაწყვეტილების საფუძველზე სადავო ქონება არ დარეგისტრირებულა საჯარო რეესტრში მამკვიდრებლის მეუღლისა და მეორე მოპასუხის საკუთრებად. ეს ვერც განხორციელდებოდა იმ მიზეზით, რომ ამ ნივთზე რეგისტრირებული იყო არა მამკვიდრებლის, არამედ სხვა პირის საკუთრების უფლება. მართებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ ამ გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი შედეგით მხარეებს არ უსარგებლიათ, რადგან გადაწყვეტილებაში მითითებული აგარაკი სამკვიდრო მოწმობის და არა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე აღირიცხა მოსარჩელის, როგორც მამკვიდრებლის ანდერძით მემკვიდრის, საკუთრებად.

6.3. სააპელაციო პალატამ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა, რომ სსკ-ით დადგენილი 10-წლიანი ვადის გასვლის გამო, მოსარჩელე, როგორც მამკვიდრებლის უფლებამონაცვლე, ვეღარ განახორციელებს ამ გადაწყვეტილებით დადგენილი უფლების რეალიზებას, მას საჯარო რეესტრში (ტექნიუროში) ასახული საკუთრების უფლების გაუქმება უნდა მოეთხოვა ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე.

6.4. მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტისათვის, მის სამკვიდრო აქტივში სადავო ბინა არ შედიოდა. სსკ-ის 1328-ე მუხლის პირველი ნაწილისა და სასამართლოს 04.12.1996 წლის გადაწყვეტილების საფუძველზე, სამკვიდრო აქტივში შედიოდა ამ ბინის საკუთრებაში დაბრუნების გადაწყვეტილებით დადგენილი უფლება, რომლის რეალიზაციაც დამოკიდებული იყო ამ გადაწყვეტილების აღსრულებაზე.

6.5. რაკი გასულია სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა, რის გამოც სასამართლოს გადაწყვეტილება იძულებით აღსრულებას არ ექვემდებარება, მართებულია სასამართლოს დასკვნა მოპასუხეებს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის მიმართ მოსარჩელის იურიდიული ინტერესის არარსებობასთან დაკავშირებით, რადგან ხელშეკრულების ბათილად ცნობა ვერ გამოიწვევს სადავო ქონების პირველი მოპასუხის საკუთრებიდან გამოთხოვას.

6.6. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ, მართალია, განსახილველ შემთხვევაში სარჩელში მოპასუხეებს შორის 27.06.2014 წელს დადებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობასთან ერთად დაყენებულია მიკუთვნებითი მოთხოვნაც, თუმცა, იმ ვითარებაში, როცა არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლითაც დადგენილია მოსარჩელის (როგორც მამკვიდრებლის უფლებამონაცვლის) უფლება სადავო ბინაზე და ეს გადაწყვეტილება არ აღსრულებულა, ამასთან, არ არსებობს მისი აღსრულების შესაძლებლობაც, სადავო ბინის მესაკუთრედ ცნობის შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა რეალურად ამ გადაწყვეტილების აღსრულების მცდელობას წარმოადგენს მისი აღსრულებისათვის დადგენილი წესისა და ვადების გვერდის ავლით. შესაბამისად, იგი ვერ განიხილება, როგორც ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის სამართლებრივი შედეგი, იურიდიული ინტერესი და მოსარჩელისათვის სადავო უძრავი ქონების, როგორც სამკვიდრო ქონების, მიკუთვნების საფუძველი.

საკასაციო საჩივარი აგებულია შემდეგ მოსაზრებებსა და სავარაუდო დარღვევებზე:

7. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით:

7.1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ) 394-ე მუხლის „ე“ და „ე1“ ქვეპუნქტების თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება დაუსაბუთებლად, თუკი სასამართლომ სრულად არ გამოიყიდა საქმის დასაბუთების გარემოებები და სათანადოდ არ

სასამართლოს მიერ აღიარებულია, რომ მოსარჩელის მოთხოვნაზე დაკისრებულია მოსარჩელის მოთხოვნის დასაფუძვლები და სასამართლოს მიერ აღიარებულია, რომ მოსარჩელის მოთხოვნაზე დაკისრებულია მოსარჩელის მოთხოვნის დასაფუძვლები.

7.2. სასამართლოს 04.12.1996 წლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება აღსრულებულია 1997 წელს. გადაწყვეტილების აღსრულების ფაქტი დგინდება შემდეგი გარემოებით: მამკვიდრებელმა სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხა გადაიხადა; ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 28.06.2001 წლის გადაწყვეტილებით სადავო უძრავი ქონება აღიარებულ იქნა მამკვიდრებლის საკუთრებად; მოსარჩელემ აგარაკის გასხვისების შემდეგ მეორე მოპასუხეს გადაუხადა სავალდებულო წილის შესაბამისი თანხა.

7.3. სასამართლომ არ იმსჯელა იმ გარემოებაზე, რომ პირველი მოპასუხე არ წარმოადგენდა სადავო უძრავი ქონების მესაკუთრეს, ვინაიდან სასამართლოს 04.12.1996 წლის გადაწყვეტილებით გაუქმდა საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტი - 1995 წლის ნასყიდობის ხელშეკრულება, როგორც თვალთმაქცური გარიგება.

7.4. სასამართლომ არ შეაფასა მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოება, რომ, მიუხედავად საკუთრების უფლების რეგისტრაციისა, სადავო უძრავი ქონება პირველი მოპასუხის ფაქტობრივ მფლობელობაში არასოდეს ყოფილა.

7.5. სასამართლომ მხოლოდ ფორმალურად და უკანონოდ მოარგო სსკ-ის 138-ე, 139-ე, 140-ე, 141-ე მუხლები მოცემულ შემთხვევას. მოსარჩელის იურიდიული ინტერესი აშკარად გამოკვეთილია. სასამართლოს მიერ ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევაში, გაუქმდება პირველი მოპასუხის საკუთრების უფლების შესახებ ჩანაწერი.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

9. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც ითვალისწინებს იმ შედეგს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს ვალდებულებას და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში ასახული აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წანამდგრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველ სამართლებრივ შედეგს (სუსგ №ას-1601-2018, 11.03.2021წ.).

10. მოსარჩელის მითითებით, როგორც ანდერძისმიერმა მემკვიდრემ, მოიპოვა უფლება სადავო უძრავ ნივთზე და ითხოვს მასზე 27.06.2014 წელს მოპასუხეებს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილობას და მესაკუთრედ ცნობას. შესაბამისად, სარჩელის საფუძვლიანობაზე მსჯელობისას უნდა დადგინდეს: 1. მოსარჩელემ, როგორც მამკვიდრებლის ანდერძისმიერმა მემკვიდრემ, მიიღო თუ არა სამკვიდრო და 2. სადავო უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება შედიოდა თუ არა სამკვიდროში.

11. საკასაციო პალატა მიუთითებს სსკ-ის 1306-ე მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების გადასვლა სხვა პირებზე (მემკვიდრეებზე) ხორციელდება კანონით ან ანდერძით, ანდა ორივე საფუძველით. სსკ-ის 1421-ე და 1424-ე მუხლების თანახმად, გარდაცვლილი პირის დანაშთი ქონებაზე საკუთრების წარმოშობისათვის სავალდებულოა, მემკვიდრემ სამკვიდროს გახსნიდან (სსკ-ის 1319-ე მუხლი) 6-თვიან ვადაში განახორციელოს ერთ-ერთი იურიდიული მნიშვნელობის მქონე მოქმედება: დაეუფლოს სამკვიდროს ან მიმართოს ნოტარიუსს სამკვიდრო მოწმობის გაცემის თხოვნით. სამკვიდროს მიღება მემკვიდრის ცალმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე ხდება. იგი მიმართულია

შეძვედრობის ძისალებად, რაც იმას ხიშხავს, რომ შეძვედროს მოქმედებები უხდა მიუთითებდეს მის ნებაზე სამკვიდროს მიღების შესახებ. უნდა არსებობდეს მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების ნება და დგინდებოდეს სამკვიდროს მიღების მიზნით განხორციელებული მოქმედებების არსებობის ფაქტი, რომლებიც, თავის მხრივ, ადასტურებს სამკვიდრო ქონების ფლობასა და მართვას (*სუსგ №ას-1092-2020, 22.01.2021წ.*). ამასთან, თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ნაწილის ფლობას, ითვლება, რომ მან მთლიანად მიიღო სამკვიდრო, რაშიც უნდა გამოიხატებოდეს და სადაც უნდა იყოს იგი (*სსკ-ის 1421 (3) მუხლი*). სსკ-ის 1433-ე მუხლის თანახმად, მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან.

12. სასამართლოს მიერ დადგენილია და საკასაციო საჩივრით პრეტენზია გაცხადებული არ არის, რომ:

12.1. მოსარჩელე არის მამკვიდრებლის გერი (*მამკვიდრებლის მეუღლის შვილი*), ხოლო მეორე მოპასუხე - მამკვიდრებლის შვილი. 31.07.1998 წლის სასაქონლო წესის დაცვით დადებული ანდერძით მამკვიდრებელმა მთელი თავისი ქონება უანდერძა მოსარჩელეს (*ტ.1, ს.ფ. 22*);

12.2. მამკვიდრებელი გარდაიცვალა 02.10.1999 წელს (*ტ.1, ს.ფ.19*);

12.3. 26.09.2005 წელს მამკვიდრებლის სამკვიდრო ქონებაზე, კერძოდ, აგარაკზე, ანდერძის საფუძველზე გაიცა სამკვიდრო მოწმობა მოსარჩელის სასარგებლოდ (*ტ.1, ს.ფ. 23-25*), რის საფუძველზეც მოსარჩელემ თავის სახელზე დაირეგისტრირა მემკვიდრეობით მიღებული აგარაკი.

13. ამდენად, მოსარჩელემ, როგორც მამკვიდრებლის ანდერძისმიერმა მემკვიდრემ, მიიღო მამკვიდრებლის სამკვიდრო. ამასთან, მემკვიდრეობის უფლების რეალიზაციისათვის (*სადავო უძრავ ქონებასთან მიმართებით*) ასევე უნდა დასტურდებოდეს, რომ სადავო ნივთი სამკვიდროში შედის (*სუსგ №ას-1110-2019, 30.10.2019წ.*).

14. მამკვიდრებლის საკუთრებაში იყო სადავო უძრავი ქონება, რომელიც 09.06.1995 წელს ნასყიდობის ხელშეკრულებით გასხვისდა პირველ მოპასუხეზე (*ტ.1, ს.ფ.43-44*). იმ ფაქტის დასადასტურებლად, რომ სადავო უძრავი ნივთი (*ნივთზე საკუთრების უფლება*) სამკვიდროს შემადგენელი ნაწილი იყო, მოსარჩელე უთითებს თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს 04.12.1996 წლის გადაწყვეტილებას (*ძალაშია 24.01.1997 წლიდან*), რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი 09.06.1995 წელს მამკვიდრებელსა და პირველ მოპასუხეს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება (*ტ.1, ს.ფ. 29-35*).

15. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მემკვიდრეზე გარდაცვლილი პირის ქონებრივი უფლება-მოვალეობების გადასვლა გულისხმობს უფლება-მოვალეობათა გადასვლას იმ სახით, რა სახითაც ისინი გარდაცვლილი პირის სიცოცხლეში არსებობს. სამკვიდროში შედის მხოლოდ ის უფლება-მოვალეობები, რომელთა მატარებელი სიცოცხლეში იყო მამკვიდრებელი (*შენგელია რ., შენგელია ე., „მემკვიდრეობის სამართალი“, მეორე გამოცემა, თბილისი, 2011, 16-17, 29; შდრ. Weidlich, in Palandt BGB Komm., 72. Aufl., 2013, §1922, Rn.7*). აღნიშნული გამომდინარეობს სსკ-ის 1328-ე მუხლის პირველი ნაწილიდან, რომლის თანახმად, სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. სამკვიდრო ქონებაში მოიაზრება მამკვიდრებლის უფლება ნივთზე (*სუსგ №ას-851-800-2010; 16.02.2011წ.; სუსგ №ას- 715-685-2016, 13.03.2017წ. ასევე - შდრ. სუსგ №ას-646-613-2014, 30.10.2015წ. და სუსგ №ას-758-726-2016, 29.12.2017წ.*).

16. დადგენილია და საკასაციო საჩივრით დასაშვები, დასაბუთებული პრეტენზია წამოყენებული არ არის, რომ მამკვიდრებელს სასამართლოს 04.12.1996 წლის გადაწყვეტილების საფუძველზე სადავო უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება არ დაჰბრუნებია: 28.02.1997 წელს მან მიმართა ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს, რაზეც 28.03.1997 წლის წერილით უარი ეთქვა (*იქვე განმარტა, რომ გადაწყვეტილება ბიუროს არ ავალებდა „ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმებას“ (ტ.1, ს.ფ.39)*). აღნიშნულის შემდეგ მამკვიდრებელს რაიმე ნაბიჯი არ გადაუდგამს მისი აღსრულებისათვის, არც ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროსათვის არ მიუმართავს და არც სასამართლოს გზით არ უცდია უფლების განხორციელება (*მაგალითად, თუ მაინცდა, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გულისხმობდა სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილებას (ქონების მამკვიდრებლის სახელზე აღრიცხვას), შეეძლო, სასამართლოსათვის მოეთხოვა მისი განმარტება/ უსწორობის გასწორება; თუ დაკმაყოფილებული მოთხოვნა არ მოიცავდა მიკუთვნებით კომპონენტს, შეეძლო საერთო სასარჩელო წესით მისი დაყენება*). საქმის მასალებით არ დასტურდება 28.02.1997 წლის შემდეგ უფლების მამკვიდრებლის ან მისი მემკვიდრის მიერ რეალიზაცია/რეალიზაციის ნების გამოვლენა. საქმის მასალებით დგინდება, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალებისას, ასევე -

ეიდეგოშ, აკ.სხ.პუ14 ქლამდე, სადავო უშოავი ქოხიეა კვლავ აიოველი შოაასუიის საკუთოეიად ირიცხეზოდა (უფლებიის დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებული იყო 09.06.1995 წლის ნასყიდობიის ხელშეკრულება (ტ.1, ს.გ. 41-42)). ამავე საფუძვლით სადავო უძრავი ნივთიის მემკვიდრეოზით მიღების ფაქტად ვერ შეფასდება ვერც თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 28.06.2001 წლის გადაწყვეტილება და ვერც მოსარჩელის მიერ აგარაკის რეალიზაციისას მეორე მოპასუხიისთვის თანხის ნაწილის გადახდა. ამრიგად, სსკ-ის 1328-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მამკვიდრებლის სამკვიდრო მასაში შევიდა და მემკვიდრეს (მოსარჩელეს) გადაეცა არა სადავო უძრავი ქონება (საკუთრების უფლება), არამედ - სადავო უძრავი ქონების დაბრუნების სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი უფლება, რომელიც ამ უფლების მესაკუთრეს უნდა განეზორციელებინა სსკ-ით განსაზღრულ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე.

17. სსკ-ის 142-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაა ათი წელი მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება. ეს კრედიტორის უფლებადამცავი ნორმაა (ათწლიანი ვადის დენის/შეწყვეტის საკითხებზე იხ.: *სუსგ № ას-1490-2019, 31.01.2020წ., პუნ.1.7*). შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნის დადასტურება ხდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, მაშინ ასეთი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა ათ წელს შეადგენს (*სვანაძე გ., „სამოქალაქო კოდექსის კომენტარი“, წიგნი I, რედ. ჰანტურია ლ., მუხ.142, ველი 1*). ზემოაღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ათწლიანი ვადა უკვე აღიარებული, მიწიჭებული უფლების რეალიზაციის ვადაა. აღნიშნული ნორმის შესაბამისად, პირს, ვის სასარგებლოდაც მიღებულია გადაწყვეტილება, შეუძლია, მოითხოვოს მისი აღსრულება კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან 10 წლის განმავლობაში, რაც შეიძლება, გამოიხატოს იძულებით აღსრულების მოთხოვნით და ა.შ. (*სუსგ № ას-205-198-2012, 06.04.2012წ.; №ას-7-7-2017, 13.04.2017წ.; №ას-559-534-2016, 14.07.2017წ.*). ამ ვადის გასვლის გამო, გადაწყვეტილებას იურიდიული ძალა ეკარგება (*სუსგ №ას-205-198-2012, 06.04.2012წ.*).

18. ყოველივე აღნიშნულზე დაყრდნობით საკასაციო პალატა ეთანხმება ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების დასკვნას მასზე, რომ სასამართლოს 04.12.1996 წლის გადაწყვეტილებით დადგენილი უფლების საფუძველზე მოსარჩელე ვედარ მოითხოვს სადავო უძრავი ქონების მესაუთრედ ცნობას, რადგან გასულია გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა. მართებულია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ წინამდებარე სარჩელი წარმოადგენს გადაწყვეტილების აღსრულების მცდელობას დადგენილი წესისა და ვადების გვერდის ავლით.

19. რაც შეეხება მოთხოვნას, ბათილად იქნეს ცნობილი 27.06.2014 წლის ჩუქების ხელშეკრულება, რომლითაც პირველმა მოპასუხემ სადავო უძრავი ქონება საკუთრებაში გადასცა მეორე მოპასუხეს (ტ.1, ს.ფ.45-46), იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ აღძრული მიკუთვნებითი მოთხოვნა განხორციელებადი არ არის (ჩუქების ბათილად ცნობის შემთხვევაში ქონება დაუბრუნდება პირველ მოპასუხეს და არა მოსარჩელეს), მართებულია ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის მიმართ მოსარჩელის იურიდიული ინტერესის არარსებობის შესახებ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების დასკვნა.

20. სსკ-ის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

21. საკასაციო საჩივრის უარყოფის გამო, პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ზაჟი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 399-ე, 264.3, 410-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. გ.შ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდება.

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საძოქალაქო საქმეთა პალატის 11.01.2018წ. განჩინება.
3. კასაციის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე:

თამარ ზამზახიძე

მოსამართლეები:

ზურაბ ძლიერიშვილი,

მირანდა ერემაძე

[← უკან](#)[«წინა შემდეგი»](#)